# სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება #89

| | | | |
|---|---|---|---|
| მატჩი | რუსთავის „რუსთავი“ - ქუთაისის „ბაგრატი“ | | |
| გუნდი | ქუთაისის „ბაგრატი“ | შეჯიბრი | I ლიგაში ასვლა/დარჩენის პლეიოფი |
| მატჩის თარიღი | 12.05.2024 | მატჩის ადგილი | რუსთავი, ხარები არენა |
| რეგულაცია | სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია. | | |

| დარღვევის აღწერა | | | |
|---|---|---|---|
| სტატუსი | მოთამაშე | დაბადების თარიღი | 25/06/1995 |
| სახელი, გვარი | იური კენჭაძე | | |
| ☒მსაჯი<br>☐საითინგ კომისარი | ნიკა ამაშუკელი | დარღვევა | ☒ აღიარებულია ☐ უარყოფილია |
| დარღვევა | 9.13 მოთამაშემ არ უნდა შებოჭოს მოწინააღმდეგე ადრე, გვიან ან სახიფათოდ. სახიფათო ბოჭვა მოიცავს (და არ არის ლიმიტირებული) ბოჭვას ან ბოჭვის მცდელობას მხრების ხაზს მაღლა, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ბოჭვა იწყება მხრების ხაზს დაბლა | ☒ წითელი ბარათი ☐ საითინგი ☐ სხვა<br>თუ „სხვა“ აღწერეთ : | |

| განხილვის დეტალები | | | |
|---|---|---|---|
| განხილვის თარიღი | 14/05/2024 | განხილვის ადგილი | სრკ-ს ოფისი |
| თავმჯდომარე | მირიან თავზარაშვილი | | |
| სადისციპლინო კომისიის წევრები | ედუარდ ნაჭყებია, ირაკლი ჩიქავა, ვახტანგ სამხარაძე | | |
| დამრღვევის დასწრება | ☒ კი (დისტანციური) ☐ არა | სხვა დამსწრეები :<br>☐ კი ☐ არა | |
| დამრღვევის წარმომადგენელი | | აღნიშნეთ ვინ | |
| განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები | მატჩის მსაჯის, ნიკა ამაშუკელის წითელი ბარათის ოქმი;<br>პირველი ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა;<br>მეორე ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა; | | |

| ფაქტობრივი მოცემულობბები, დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა). |
|---|

1. მატჩის მსაჯის, ნიკა ამაშუკელის წითელი ბარათის ოქმი;
2. პირველი ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა;
3. მეორე ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა;

| დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება) |
|---|

არა

| დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება |
|---|

ქუთაისის „ზაგრატი"-ს მოთამაშის იური კენჭაძის განცხადებით, იგი:

ა) ეთანხმება მატჩის 24-ე(პირველი ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა) წუთზე მსაჯის გადაწყვეტილებას, მისი ქმედების (გვიანი/სახიფათო ბოჭვა) ყვითელი ბარათის ტოლფასად შეფასების შესახებ;
ბ) ეთანხმება მსაჯის განცხადებას იმის შესახებ, რომ სინ ბინიდან მოედანზე დაბრუნების შემდეგ, მსაჯისგან მიიღო პერსონალური გაფრთხილება ბინძური თამაშისთვის;
დ) ეთანხმება მატჩის 67-ე(მეორე ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა) წუთზე მსაჯის გადაწყვეტილებას, მისი ქმედების (გვიანი/სახიფათო ბოჭვა) ყვითელი ბარათის ტოლფასად შეფასების შესახებ;

იური კენჭაძემ სინანული გამოთქვა მომხდარი ინციდენტების გამო.

| ფაქტობრივი მოცემულობზე მსჯელობა და დარღვევის დადგენა |
|---|

1. მატჩის მსაჯის, ნიკა ამაშუკელის წითელი ბარათის ოქმი (ციტირება) – „მატჩის 67-ე წუთზე ბაგრატის მოთამაშემ იური კენჭაძემ განახორციელა გვიანი ბოჭვა მეტოქეზე - მას პირველ ტაიმში უკვე ჰქონდა მიღებული ყვითელი ბარათი ანალოგიური ქმედების გამო, პირველივე ტაიმში ყვითელი ბარათის შემდგომ მოედანზე დაბრუნებისას მან ასევე იუხეშა მეტოქის წინააღდმდეგ - ქმედება იმსახურებდა მხოლოდ ჯარიმას და პერსონალურ გაფრთხილებას. ამის მიუხედავად მან 67 წუთზე კვლავ შებოჭა მეტოქე გვიან, გაფრთხილების მიხედვით ვიხმარე ყვითელი ბარათი და წესდება 9.29 მიხედვით მეორე ყვითელი ბარათის გამო ვიხმარე წითელი ბარათი."
2. პირველი ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა - თამაშის 24:14 წუთზე (ვიდეომასალის დრო) „ზაგრატი"-ს მოთამაშე იური კენჭაძემ (#1) შეგნებულად, გვიან/სახიფათოდ შებოჭა მოწინააღმდეგე. ბინძური თამაშის გამო მატჩის მსაჯმა იური კენჭაძე 10 წუთით, ყვითელი ბარათით გააძევა მოედნიდან.
3. მეორე ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა - - თამაშის 67:01 წუთზე (ვიდეომასალის დრო) „ზაგრატი"-ს მოთამაშე იური კენჭაძემ (#1) შეგნებულად, გვიან/სახიფათოდ შებოჭა მოწინააღმდეგე. ბინძური თამაშის გამო, მატჩის მსაჯმა იური კენჭაძის ქმედება შეაფასა ყვითელი ბარათის ტოლფასად და ვინაიდან ეს მისთვის ამ თამაშში იყო მეორე ყვითელი ბარათი, მსაჯმა წითელი ბარათით დაატოვებინა მოედანი იური კენჭაძეს.

სადისციპლინო კომისიამ სხდომაზე წარმოდგენილი ფაქტობრივი მოცემულობებისა და მხარეთა განცხადებების განხილვის შემდეგ, იმსჯელა „ბაგრატი“-ს მოთამაშის იური კენჭაძის ბინძური თამაშის ფაქტებზე და მხარი დაუჭირა მატჩის მსაჯის, ნიკა ამაშუკელის მიერ ორივე ბინძური თამაშის ფაქტის, ყვითელი ბარათებით შეფასების გადაწყვეტილებას.

სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #7-თ(**ყვითელი ბარათების და/ან საითინგ კომისრის გაფრთხილებების აკუმულირება)**, კერძოდ - 1.1 პუნქტით(სადისციპლინო სამსახური განიხილავს მოთამაშის ქმედებებს, რომელიც თამაშის დროს ორი ყვითელი ბარათის გამო იქნა გაძევებული მოედნიდან.) და დაადგინა :

ა) თამაშის 24:14 წუთზე, ქუთაისის „ბარატი“-ს მოთამაშემ იური კენჭაძემ დაარღვია სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #1-ს 9.13 პუნქტი (მოთამაშემ არ უნდა შებოჭოს მოწინააღმდეგე ადრე, გვიან ან სახიფათოდ. სახიფათო ბოჭვა მოიცავს (და არ არის ლიმიტირებული) ბოჭვას ან ბოჭვის მცდელობას მხრების ხაზს მაღლა, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ბოჭვა იწყება მხრების ხაზს დაბლა), რის გამოც მოედნიდან ყვითელი ბარათით იქნა გაძევებული. დარღვევა აღიარებულია დამრღვევი მოთამაშის მიერ.

ბ) თამაშის 67:01 წუთზე, ქუთაისის „ბარატი“-ს მოთამაშემ იური კენჭაძემ დაარღვია სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #1-ს 9.13 პუნქტი (მოთამაშემ არ უნდა შებოჭოს მოწინააღმდეგე ადრე, გვიან ან სახიფათოდ. სახიფათო ბოჭვა მოიცავს (და არ არის ლიმიტირებული) ბოჭვას ან ბოჭვის მცდელობას მხრების ხაზს მაღლა, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ბოჭვა იწყება მხრების ხაზს დაბლა), რაც მსაჯმა კვლავ ყვითელი ბარათის ტოლფას დარღვევად შეაფასა და ვინაიდან ეს იყო მეორე ყვითელი ბარათი იური კენჭაძესთვის ამ თამაშში, მატჩის მსაჯმა წითელი ბარათით დაატოვებინა მოედანი დამრღვევ მოთამაშეს. დარღვევა აღიარებულია დამრღვევი მოთამაშის მიერ.

გ) ყვითელი ბარათების შუალედში იური კენჭაძემ,  მსაჯისგან მიიღო პერსონალური გაფრთხილება უხეში თამაშისთვის. პერსონალური გაფრთხილების ფაქტი აღიარებულია დამრღვევი მოთამაშის მიერ.

სადისციპლინო კომისიამ დადგენილ ფაქტობრივ მოცემულობებზე დაყრდნობით იხელმძღვანელა სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #7-ს  3.1 (ორი ყვითელი ბარათის ან ორი საითინგ კომისრის გაფრთხილების და/ან ყვითელი ბარათის და საითინგ კომისრის გაფრთხილების დროს ერთი თამაშის განმავლობაში, მოთამაშის დისკვალიფიკაცია შესაძლებელია იყოს **ერთიდან ორ კვირა/თამაშამდე**, დარღვევების სიმძიმის ხასიათიდან გამომდინარე.) პუნქტით და მიიღო გადაწყვეტილება :

| გადაწყვეტილება | | | |
|---|---|---|---|
| დარღვევის სტატუსი: | ☒ მიღებულია | ☐ უარყოფილია | ☐ სხვა (აღწერეთ) |

| სანქცირების პროცედურა |
|---|
| სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 5.1 პუნქტით განსაზღვრული<br>დარღვევის სიმძიმის შეფასება |
| ☒ შეგნებული/წინასწარ განზრახული ☐ წინდაუხედავი/გაუფრთხილებელი |
| დარღვევის სახის დადგენის საფუძველი |
| ინციდენტების ამსახველი ვიდეომასალები; |
| დამრღვევის მოქმედების სიმძიმე: |
| ყვითელი ბარათის ტოლფასი |
| მოთამაშის ქმედების ბუნება, მ.შ. რით მოქმედებდა მოამაშე (მუშტი, თავი, იდაყვი, მხარი, მუხლი, ფეხი): |
| მხრით |
| ჰქონდა თუ არა ადგილი პროვოცირებას: |
| არა |
| სურდა თუ არა მოთამაშეს თავისი ქმედებით სამაგიეროს გადახდა და როგორ იყო ეს დროში განაწილებული: |
| არა |
| მოთამაშის მხრიდან ჰქონდა თუ არა ადგილი თავდაცვას (ანუ, მოუწია თუ არა მას გარკვეული ძალის გამოყენებით საკუთარი თავის დაცვა): |
| არა |
| რა გავლენა მოახდინა მოთამაშის ქმედებებმა დაშავებულზე (მაგ. ტრავმის სიმძიმე, დაშავებული მეტოქის მოედნიდან გაყვანა): |
| |
| დარღვევის გავლენა მატჩის მსვლელობაზე |
| |

| დაშავებულის დაცულობის ხარისხი |
| --- |
| |
| დარღვევის ფაქტში ჩართულობის დონე და წინასწარი განზრახვა; |
| |
| შესრულდა მოთამაშის მიერ განზრახული ქმედება თუ მცდელობით შემოიფარგლა; |
| შესრულდა |
| დარღვევასთან დაკავშირებული მოთამაშის ქცევის სხვა ნებისმიერი ასპექტი. |
| |

| დარღვევის ხარისხის შეფასება.<br>სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციების დანართი 1 -ის და/ან დანართი 4-ის მიხედვით |
| --- |
| ქვედა ზღვარი კვირა. შუა ზღვარი კვირა ზედა ზღვარი კვირა* |

*ზედა ზღვარით შეფასების დროს სადისციპლინო კომისია კვირების რაოდენობას განსაზღვრავს ზედა და მაქსიმალურ ზღვარს შორის.

| ზედა ზღვარის მინიჭების განმარტება: |
| --- |
| |

## შესაბამისი შემამსუბუქებელი ფაქტორები:

სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 5.7

| დამრღვევის მიერ დანაშულის/შეცდომის აღიარება და აღიარების დრო; (5.7ა)) | დადებითი სადისციპლინო ისტორია და/ან დადებითი რეპუტაცია;(5.7ბ)) |
| --- | --- |
| დამრღვევმა მოთამაშემ აღიარა დარღვევები სადისციპლინო კომისიის სხდომაზე და სინანული გამოთქვა მომხდარის გამო | |
| მოთამაშის ახალგაზრდობა და გამოუცდელობა;(5.7გ)) | ქცევა განხილვამდე და განხილვის პროცესში; (5.7დ)) |
| | |
| დამრღვევის მიერ ჩადენილი საქციელის გამო სინანულის გრძნობის ე.წ. მსხვერპლისთვის დემონსტრირება და ამ დემონსტრაციის დრო;(5.7ე)) | ნებისმიერი სხვა შემამსუბუქებელი გარემოება (5.7ვ)) |
| | |

დაკლებული კვირების რ-ბა:

| კვირების დაკლების მიზეზის მოკლე აღწერა : |
| --- |
| |

## შესაბამისი დამატებითი დამამძიმებელი ფაქტორები:

სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 5.5

| მოთამაშის / პიროვნების უარყოფითი სადისციპლინო ისტორია; (5.5 ა)) |
|---|
| |
| **დარღვევისგან თავის შეკავების ვალდებულება; (5.5 ბ))** |
| ყვითელი ბარათების შუალედში იური კენჭაძემ, მსაჯისგან მიიღო პერსონალური გაფრთხილება უხეში თამაშისთვის |
| **ნებისმიერი სხვა დამამძიმებელი გარემოება; (5.5 გ))** |
| |

დამატებითი კვირების რ-ბა:

# სანქცია

- სანქცია მოიცავს წითელი ბარათით ან საითინგ კომისარის საითინგით შეყოვნებული(სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 3.6) მოთამაშეების/პიროვნებების შეყოვნების პერიოდში შესულ თამაშ(ებ)ს/პერიოდს.

| | | |
|---|---|---|
| დისკვალიფიკაცია (კვირა/პერიოდი)<br>სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 6.1 ა) - ე) | 1(ერთი) კვირა/თამაში | ☐<br>წითელი ბარათი საკმარისია |
| დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი | 15/02/2024 | |
| დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი.<br>დისკვალიფიკაციის პერიოდში შესული თამაშები. | 19/05/2024<br>1. „ბაგრატი“ – „რუსთავი“ 18/05/2024 | |
| ფულადი ჯარიმა და გადახდის ვადა. სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 9.4. ბ) | არა | |
| სხვა შეზღუდვები/გაფრთხილება | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| თავმჯდომარე ხელმოწერა | მირიან თავზარაშვილი | თარიღი | 15/05/2024 |

- გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში. სრკ-ს სააპელაციო კომისიის დებულება საპელაციო-კომისიის-დებულება.pdf (rugby.ge)